სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლში“ არსებული ბრანდმაუეების (ფაერვოლის) კლასტერებისთვის მწარმოებლის გარანტიის, სერვისის, ლიცენზიისა და მხარდაჭერის (support) 1 წლის ვადით გაგრძელების (11 დეკემბერი 2022 დან არანაკლებ 10 დეკემბერი 2023 ჩათვლით) სახელმწიფო შესყიდვა

ელექტრონული ტენდერის*

*-ელექტრონული ტენდერი აბრევიატურით SPA

(წინამდებარე დოკუმენტაციაში მოცემულია შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში ელექტრონულად შესავსები სატენდერო პირობები)

კლასიფიკატორის (CPV) კოდი №48218000 - ლიცენზიების მართვის პროგრამული პაკეტები

თბილისი

2022 წელი

2. ტექნიკური მოთხოვნები როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირებისათვის: პრეტენდენტმა ტექნიკური დოკუმენტაციის სახით სისტემაში უნდა ატვირთოს შემდეგი დოკუმენტები და ინფორმაცია:

ა) პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს: ელექტრონულად ხელმოწერილი **(იხ. დანართი №1-ფასების ცხრილი)** სადაც მითითებული უნდა იყოს შემოთავაზებული პროდუქტის დასახელება, პროდუქტის კოდი* და ერთეულის და საერთო ფასი (*აღნიშნულის წარმოუდგენლობა დაზუსტებას არ დაექვემდებარება და გამოიწვევს პრეტენდეტის დისკვალიფიკაციას)* საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის და სხვა ხარჯების გათვალისწინებით.

**- პროდუქტის დასახელების და პროდუქტის კოდის წარმოდგენა სავალდებულოა, რათა შესაძლებელი იყოს იდენტიფიკაცია და შესაბამისობა შემოთავაზებული პროდუქტის სატენდერო მოთხოვნებთან.*

ბ) პრეტენდენტი უნდა იყოს შემოთავაზებული სისტემის მწარმოებლის ოფიციალური პარტნიორი საქართველოს ტერიტორიაზე, პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტი.

გ) პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს შემოთავაზებული სისტემის მწარმოებლის სპეციალიზაცია, რომელიც მას ანიჭებს უფლებამოსილებას განახორციელოს არსებული სისტემის მხარდაჭერა - პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტი.

დ) პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს მწარმოებლის ავტორიზაციის ფორმა (MAF) ამ კონკრეტული პროექტისთვის. მწარმოებლის ავტორიზაციის ფორმაში მითითებული უნდა იყოს სატენდერო განცხადების ნომერი.

ე) პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს ხელმძღვანელის და საკონტაქტო პირის სახელი და გვარი და საბანკო რეკვიზიტები - აღნიშნული ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტის მიერ შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში პრეტენდენტის პროფილში არ არის და/ან არასრულად არის შევსებული შესაბამისი ინფორმაცია.

შენიშვნა:

- **ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მას უნდა დაერთოს სანოტარო წესით დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი.**
- სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული დოკუმენტები და/ან ინფორმაცია (რომელიც ითვალისწინებს ხელმოწერას) უნდა იქნას ელექტრონულად ხელმოწერილი შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ ან დამოწმებული კვალიფიციური ელექტრონული შტამპით, მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში.
- <u>შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში „მიმწოდებლად“ რეგისტრირებული არარეზიდენტი მომხმარებლები განთავისუფლებულები არიან „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებისაგან იხ. საქართველოს მთავრობის განკარგულება.</u>
- **<u>პრეტენდენტს არ აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.</u>**
- შესყიდვის ობიექტის სპეციფიკის გათვალისწინებით ვინაიდან შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლში“ არსებული ბრანდმაუეების (ფაერვოლის) კლასტერებისთვის მწარმოებლის გარანტიის, სერვისის, ლიცენზიისა და მხარდაჭერის (support) 1 წლის ვადით გაგრძელების (11 დეკემბერი 2022 დან არანაკლებ 10 დეკემბერი 2023 ჩათვლით) სახელმწიფო შესყიდვას, შესაბამისი პროგრამული პაკეტების მწარმოებელმა ან/და გამყიდველმა ორგანიზაციამ შესაძლებელია შესყიდვის ობიექტის მიწოდება განახორციელოს საბაზრო ღირებულებასთან შედარებით დაბალ ფასად. აღნიშნულიდან გამომდინარე, პრეტენდენტის მიერ სისტემაში შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებასთან 20%-ით და/ან მეტით დაბალი საბოლოო ფასის დაფიქსირების შემთხვევაში არ წარმოეშვება ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთების ვალდებულება. აღნიშნულიდან გამომდინარე, პრეტენდენტის მიერ სისტემაში შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებასთან 20%-ით და/ან მეტით დაბალი საბოლოო ფასის დაფიქსირების შემთხვევაში არ წარმოეშვება ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთების ვალდებულება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პრეტენდენტის მიერ სისტემაში შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებასთან 20%-ით და/ან მეტით დაბალი საბოლოო ფასის დაფიქსირების შემთხვევაში არ წარმოეშვება ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთების ვალდებულება.

- სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებებისა და დამატებითი ინფორმაციის მოთხოვნა ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მოდულის „კითხვა/პასუხის“ მეშვეობით შესაბამის ტენდერში „ტენდერი გამოცხადებულია“ სტატუსის მინიჭებიდან „წინადადების მიღება დასრულებულია“ სტატუსის მინიჭებამდე არაუგვიანეს 24 საათისა.
- ტენდერთან დაკავშირებული განმარტებისა და დამატებითი ინფორმაციის დაზუსტება/განმარტება განხორციელდება გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 2 საათისა შესაბამის ტენდერში „წინადადების მიღება დასრულებულია“ სტატუსის მინიჭებამდე.
- ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში პუნქტით გათვალისწინებული შესაბამისი დაზუსტება/განმარტება განხორციელდება გონივრულ ვადაში, შესაბამის ტენდერში „შერჩევა/შეფასების“ სტატუსის მინიჭებიდან „ხელშეკრულება დადებულია“ სტატუსის მინიჭებამდე.
- სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებებისა და დამატებითი ინფორმაციის გაცეზე უფლებამოსილი პირია სატენდერო კომისიის აპარატის წევრი - გიორგი ფირცხალავა, ტელ: 2 40 91 45 - შესყიდვების სამსახურის შესყიდვების სპეციალისტი;

3. მომსახურების გაწევის ვადა და ტექნიკური დავალება:

<u>შესყიდვის ობიექტია:</u>

არსებული ბრანდმაუეების (ფაერვოლის) კლასტერებისთვის მწარმოებლის გარანტიის, სერვისის, ლიცენზიისა და მხარდაჭერის (support) 1 წლის ვადით გაგრძელება (11 დეკემბერი 2022 დან არანაკლებ 10 დეკემბერი 2023 ჩათვლით)

საზოგადოებრივი მაუწყებლის საკუთრებაში არსებული ჩეკპოინტ ფაირვოლის კლასტერის ჩამონათვალი და საჭირო ლიცენზიები:

შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან - 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღე

შესყიდვის ობიექტის მოწოდების მისამართი: ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ N68;

1. **2 ცალი - Check Point 6200 Security Gateway:**

საჭირო ლიცენზიები: VPN, Networking and Clustering, IPS, Application Control, URL Filtering, Anti-Virus, Anti-Bot, Network Policy Management, Logging and Status, HTTPS Inspection

2. **2 ცალი - Check Point 6600 Security Gateway:**

საჭირო ლიცენზიები: VPN, Networking and Clustering, IPS, Application Control, URL Filtering, Anti-Virus, Anti-Bot, Network Policy Management, Logging and Status, HTTPS Inspection

3.Check Point Next Generation Security Management Software for 5 gateways (SmartEvent)

* Network Policy Management

* Endpoint Policy Management

* Logging and Status * Monitoring

* SmartWorkflow

* SmartProvisioning

* User Directory

* Management Portal

* SmartEvent

* ცენტრალური მართვის სისტემა მართავს ერთიდან 5-მდე ბრანდმაუერს.

* Check Point Standard Collaborative Enterprise Support For 1 Year

პროგრამული უზრუნველყოფის მხარდაჭერა გამარჯვებული ინტეგრატორი კომპანიის მიერ უნდა განხორციელდეს სამუშაო საათებში ადგილზე ან/და სატელეკომუნიკაციო საშუალებით (საჭიროების შემთხვევაში), ხოლო არასამუშაო საათებში ტექნიკური მხარდაჭერა Support უნდა განხორციელდეს სატელეფონო კონსულტაციით. პირველი რეაგირება გამარჯვებული კომპანიის სერტიფიცირებული სპეციალისტების მიერ, რეაგირების დრო 30 წუთი, თუ პრობლემა ვერ გვარდება გამარჯვებული კომპანიის დონეზე, კომპანია ხსნის ქეისს მწარმოებელი კომპანიის ოფიციალური მხარდაჭერის მოთხოვნით, რომლის მომსახურების მხარდაჭერა უნდა იყოს 5/9 -ზე

მოწყობილობებზე უნდა ვრცელდებოდეს 1 (ერთი) წლიანი მხარდაჭერა (11 დეკემბერი 2022წ. დან არანაკლებ 10 დეკემბერის 2023წ. ჩათვლით) საგარანტიო პერიოდში მიწოდებულ საქონელზე ქარხნული დეფექტის და/ან დაზიანების აღმოჩენის შემთხვევაში, მიმწოდებელმა საკუთრი ხარჯებით უნდა უზრუნველყოს შემსყიდველის შეტყობინების მიღებიდან (როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი ფორმით) დაზიანების სირთულიდან გამომდინარე 7 - 30 დღის განმავლობაში წუნდებული საქონელის შეკეთება ან/და შეცვლა. (Check Point Standard Collaborative Enterprise Support For 1 Year)

საგარანტიო პერიოდში საჭიროების შემთხვევაში ტექნიკის ტრანსპორტებას მიმწოდებლის მხარეს და შეკეთებული ტექნიკის ტრანსპორტირებას შემსყიდველის მხარეს (ქ. თბილის კოსტავას ქ. №68) უზრუნველყოფს მიმწოდებელი საკუთარი ხარჯებით

მხარდაჭერის პერიოდში უზრუნველყოფილი უნდა იყოს უფასო წვდომა/განახლება პროგრამული უზრუნველყოფის ყველა ახალ ვერსიასთან

შემსყიდველი მომსახურების გაწევის პარალელურად განახორციელებს შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებულ ტექნიკურ შემოწმებას, იმ შემთხვევაში თუ მომსახურების გაწევის პერიოდში აღმოაჩნდება გარკვეული ხარვეზები და მიმწოდებელი ვერ/ან არ უზრუნველყოფს აღნიშნული ხარვეზის გამოსწორებას შემსყიდველი უფლებამოსილია უარი განაცხადოს შესყიდვის ობიექტის მიღებაზე და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე (შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ).

შესყიდვის ობიექტის შემოწმების პროცესში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ხარვეზის აღმოფხვრა.

შესყიდვის ობიექტის ტექნიკური და ხარისხობრივი კონტროლი (შემოწმება) გაიმართება შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილზე მიმწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენლ(ებ)ის თანდასწრებით.

ანგარიშსწორება განხორციელდება შესყიდვის ობიექტის მიწოდების შემდეგ, მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) დღეში, წინასწარი (საავანსო) გადახდა ელექტრონულ ტენდერში არ გამოიყენება.

სახელმწიფო შესყიდვის დაფინანსების წყარო: **100 % - სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები (2022 წლის სახსრები)**

შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაა - **ლარი.**

დანართი №1-ფასების ცხრილი

პრეტენდენტის დასახელება: _____; მისამართი: _____; ტელ: _____;
ელ. ფოსტა: _____ და საბანკო რეკვიზიტები_____;

N	შესყიდვის ობიექტის, პროდუქტის დასახელება	პროდუქტის კოდი	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ფასი (ლარი)
1					
2					
#					
.					
				ჯამი	

შენიშვნა: (სატენდერო დოკუმენტაციის ფასების ცხრილის შესაბამის გრაფაში უნდა იყოს მითითებული შემოთავაზებული პროდუქტის დასახელება, პროდუქტის კოდი* და ერთეულის და საერთო ფასი (აღნიშნულის წარმოუდგენლობა დაზუსტებას არ დაექვემდებარება და გამოიწვევს პრეტენდეტის დისკვალიფიკაციას) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის და სხვა ხარჯების გათვალისწინებით.

***- პროდუქტის დასახელების და პროდუქტის კოდის წარმოდგენა სავალდებულოა, რათა შესაძლებელი იყოს იდენტიფიკაცია და შესაბამისობა შემოთავაზებული პროდუქტის სატენდერო მოთხოვნებთან.**

პრეტენდენტის ხელმოწერა_____

(თანამდებობა და ხელმოწერა)

*** ფასების ცხრილი ხელმოწერილი უნდა იყოს ელექტრონულად ან და დამოწმებული უნდა იყოს ელექტრონული შტამპით**

4. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი

ქ. თბილისი **ხელშეკრულება N** 2022 წელი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობების დაზუსტება განხორციელდება გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად თანდართული ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებელი (შემდგომში ,,შემსყიდველი") მისი გენერალური დირექტორის თინათინ ბერძენიშვილის სახით და მეორეს მხრივ, ——————————— (შემდგომში ,,მიმწოდებელი") მისი დირექტორის ——————————— სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის და პრეტენდენტის (მისი დასახელება) სატენდერო წინადადების საფუძველზე, ელქტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე: შემსყიდველმა ჩაატარა ელექტრონული ტენდერი (**SPA----------**) სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლში" არსებული ბრანდმაუეების (ფაერვოლის) კლასტერებისთვის მწარმოებლის გარანტიის, სერვისის, ლიცენზიისა და მხარდაჭერის (support) 1 წლის ვადით გაგრძელების (11 დეკემბერი 2022 დან არანაკლებ 10 დეკემბერი 2023 ჩათვლით) სახელმწიფო შესყიდვაზე (კლასიფიკატორის (CPV) კოდი №48218000 - ლიცენზიების მართვის პროგრამული პაკეტები), რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა მიმწოდებლის სატენდერო წინადადება და მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს მომსახურება შემსყიდველს.

1. ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები ქმნიან მოცემულ ხელშეკურულებას და წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს:

ა) წინამდებარე ხელშეკრულება;

ბ) პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და სატენდერო წინდადებაზე თანდართული ყველა სხვა დოკუმენტი;.

გ) სატენდერო დოკუმენტაცია;

2. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

2.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში _ „ხელშეკრულება") _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

2.2. „ხელშეკრულების ღირებულება" _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

2.3. „დღე", „კვირა", „თვე" _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.

2.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

2.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

3. ხელშეკრულების საგანი

3.1. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლში" არსებული ბრანდმაუეების (ფაერვოლის) კლასტერებისთვის მწარმოებლის გარანტიის, სერვისის, ლიცენზიისა და მხარდაჭერის (support) 1 წლის ვადით გაგრძელების (11 დეკემბერი 2022 დან არანაკლებ 10 დეკემბერი 2023 ჩათვლით) სახელმწიფო შესყიდვა.

3.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის აღწერა მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს ——————————————ლარს.

4.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს - სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის" სპეციალურად უფლებამოსილი თანამშრომელ(ებ)ი.

5.2 შემსყიდველი საქონლის მიწოდების პარალელურად განახორციელებს საქონლის შემოწმებას, იმ შემთხვევაში თუ მიწოდებულ საქონელს შემოწმების პროცესში აღმოჩნდება გარკვეული ხარვეზები ან შემოწმებული საქონელი ვერ დაკმაყოფილებს შესაბამის ტექნიკურ მონაცემებს, შემსყიდველი უფლებამოსილია უარი განაცხადოს შესყიდვის ობიექტის მიღებაზე და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე.

5.3 მიწოდებული საქონლის ტექნიკური შემოწმების პროცესში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი წუნდებული საქონლის შეცვლა.

5.4 შესყიდვის ობიექტის ტექნიკური და ხარისხობრივი კონტროლი (შემოწმება) გაიმართება შემსყიდველის იურიდიულ მისამართზე, მიმწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენლ(ებ)ის თანდასწრებით.

6. შეფუთვა
მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საქონლის ისეთი შეფუთვა, რომელიც დაიცავს მას დაზიანებისაგან დანიშნულების ადგილზე ტრანსპორტირების პროცესში.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი
7.1 შესყიდვის ობიექტის მოწოდების მისამართი: ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. #68;
7.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან - 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღე
7.3 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
7.4 მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების პარალელურად მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველს შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია (მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად).
7.5 მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების 5.1 მუხლში აღნიშნული პირები.

8. გარანტია
8.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.
8.2 გაწეული მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

9. ანგარიშსწორება
9.1 ანგარიშსწორება მოხდება ლარში;
9.2 გადახდის ფორმა - უნაღდო;
9.3 ანგარიშსწორება განხორციელდება შესყიდვის ობიექტის მიწოდების შემდეგ, მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) დღეში, წინასწარი (საავანსო) გადახდა ელექტრონულ ტენდერში არ გამოიყენება.
9.4 სახელმწიფო შესყიდვის დაფინანსების წყაროა: 100 % სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები ***(2022 წლის სახსრები)***

10. ფასები
10.1 ხელშეკრულებაში განსაზღვრული ფასის ცვლილება დასაშვებია მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში:
ა) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში (დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 %-ზე მეტი ოდენობით გაზრდა), ფასების ცვლილების შესახებ ხელშეკრულების მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელიც თავის მხრივ უფლებამოსილია არ დაეთანხმოს აღნიშნულ ცვლილებაზე.

11. ფორს-მაჟორი
11.1. ხელშეკრულების, რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ განიხილება ხელშეკრულების პირობების დარღვევად თუ შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი;
11.2. ამ ხელშრეკრულების მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან მხარეების შეცდომებთან და დაუდევრობებთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, ეპიდემიით;
11.3. ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის შემთხვევაში მხარემ, რომლისათვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

12. მხარეთა ურთიერთობა
12.1. ნებისმიერი ოფიციალური შეტყობინება მხარეთა შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით;
12.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, თუ ამ თარიღიდან რომელი უფრო გვიან დგება.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა
13.1 ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის და/ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო, სახელშეკრულებო თანხის და/ან შეუსრულებელი ვალდებულების - **3 %** ოდენობით, რომლის გადახდა მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში.
13.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, - ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების **0,02 %**-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის - **0.02 %**-ს.

13.3 გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის **0,02** %-ის ოდენობით.
13.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა
14.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტის შესახებ.
14.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის და/ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში (მათ შორის ვადების დარღვევის შემთხვევაში), აგრეთვე იმ შემთხვევაში თუ მიწოდებული საქონლის ხარისხი არ დააკმაყოფილებს ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს და შემსყიდველის მიერ წუნდებული საქონლის შესაცვლელად დამატებით განსაზღვრულ ვადაში არ მოხდება წუნდებული საქონლის შეცვლა შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და გამოიყენოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
14.3 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს 13.1 და 13.2 პუნქტებით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.
14.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულების შესრულებისაგან.
14.5 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისთვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

15. გადასახადები და ბაჟები
მიმწოდებელი პასუხს აგებს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში

16. დამატებითი პირობები
16.1. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის და/ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
16.2. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ;
16.3. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორი) იდენტურ ეგზემპლიარად, თითო ყოველი მხარისთვის.

17. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:
სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებელი"

ქ. თბილისი, კოსტავას ქ. #68
საიდენტიფიკაციო კოდი: 204 858 163

რეკვიზიტები:
დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ხაზინა
ხაზინის ერთიანი ანგარიში
კოდი: TRESGE22

გენერალური დირექტორი

თინათინ ბერძენიშვილი ----------